პიროვნული ნიშნები, თვითშეფასება და სიმორცხვე როგორც სოციალური ქსელების პრობლემური გამოყენების პრედიქტორები

თეონა ვაჭარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

19.06.2024

აბსტრაქტი

სოციალური ქსელების გამოყენებაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას, ეს შეიძლება იყოს, როგორც პიროვნებასთან დაკავშირებული, ისე გარემოს მახასიათებლები. სოციალური ქსელების ხშირმა, ინტენსიურმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები, ამიტომ ბოლო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობს ამ საკითხის და მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა. მოცემულ ნაშრომში განხილულია თუ როგორ პროგნოზირებს სოციალური ქსელების პრობლემურ გამოყენებას თვითშეფასება, სიმორცხვე და პიროვნული ნიშნები (დიდი ხუთეული). აღნიშნული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 120 რესპოდენტი, რომელთა ასაკი 14 წლიდან 65 წლამდე მერყეობს. ისინი სხვადასხვა სოციალური ქსელების მომხმარებლები არიან. პრედიქტორებისა და შედეგის ცვლადის საკვლევად გამოვიყინე შესაბამისი კითხვარები. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მხოლოდ სიმორცხვე პროგნოზირებს სოციალური ქსელების პრობლემური გამოყენების ოთხივე კომპონენტს, ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მორცხვია ადამიანი მით უფრო მაღალი ქულები აქვს სოციალური ქსელების პრობლემური გამოყენების ოთხივე კომპონენტში. ხოლო პიროვნების დიდი ხუთეულიდან ორგანიზებულობა უარყოფითად წინაწარმეტყველებს ერთ-ერთ შედეგის ცვლადს, კერძოდ, უარყოფით შედეგებს, ნევროტიციზმი კი დადებითად. დანარჩენ შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლინდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები:თვითშეფასება, სიმორცხვე, პიროვნული ნიშნები, სოციალური ქსელების პრობლემური გამოყენება.

Abstract

Many factors influence the use of social networks, including personality as well as context-related factors.The frequent, intensive use of social networks may cause various physical and mental problems. For this reason, this issue and its causes have been actively studiedrecently.The purpose of this study is to examine how self-esteem, shyness, and personality traits (the Big Five) predict problematic use of social networks. 120 respondents, whose age ranges from 14 to 65 years, were interviewed. They are users of different social networks. To investigate predictors of different types of problematic social network use I designed a questionnaire.Data analysis revealed that only shyness predicts all four components of problematic social networking use, meaning that the moreshy a person is, the higher scores they have in all four components of problematic social networking use. From the Big Five personality traits, conscientiousnessnegatively and neuroticism positivelypredicts one of the outcome variables, namely, negative outcomes. In the rest of the cases, no statistically significant relationship was revealed.

Key words: self-esteem, shyness, personality traits, problematic use of social networks.

მადლობა

გაწეული შრომისა და დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო სხირტლაძეს. რომელიც მუდმივად გვერდით მედგა, აქტიურად იყო ჩართული პროცესში და ყველა კითხვაზე ამომწურავად მპასუხობდა. მისი რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები დამეხმარა სამაგისტრო ნაშრომის დასრულებაში.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს, რომლებმაც გამონახეს დრო კითხვარის შესავსებად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და გარკვეულ შედეგებზე საუბარი.